შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის 2024 წლის 1წლიანი სამოქმედო გეგის წლიური ანგარიში

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის (შემდგომში კოლეჯი) 2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის წლიურ ანგარიშში წარმოდგენილია, საანგარიშო პერიოდში კოლეჯის მიერ დაგეგმილი აქტივობების განხორციელების დინამიკა და შესაბამისი მტკიცებულებები.

2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავდა 31 განსახორციელებელ აქტივობას, რომელთაგან კოლეჯმა სრულად განახორციელა 29.

2024 წლისათვის კოლეჯის მიერ არ განხორციელებულა შემდეგი აქტივობები:

- პროფესიული მოზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატება (თბილისი, თელავის განყოფილება);
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართვა კერძო კოლეჯების მიერ ჩატარებულ კონფერენციებში.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯი 2024 წლამდე ქ. თბილსში ახორციელებდა 3 მომზადების პროგრამას: გერიატრიული ასისტენტი, სალაროს ოპერაციების განხორციელება, კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა და 1 გადამზადების პროგრამას-სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა. ქ. თელავის განყოფილებაში ხორციელდებოდა 2 მომზადების პროგრამა-გერიატრიული ასისტენტი, სალაროს ოპერაციების განხორციელება და 1 გადამზადების პროგრამა-სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა. კოლეჯი გეგმავდა 2024 წლისათვისაც მოეპოვებინა პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლება ქ. თბილისსა და ქ. თელავის განყოფილებაში, თუმცა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაწყებულმა ფართომაშტაბიანმა ცვლილებებმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო-დოკუმენტებში და კოლეჯის რეავტორიზაციის რეჟიმში გადასვლამ, განაპირობა კოლეჯის გადაწყვეტილება, რომ პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატებას ქ. თბილისში და ქ. თელავის განყოფილებაში განახორციელებს 2024 წლის შემდგომ პერიოდში.

რაც შეეხება მე-2 აქტივობას - „პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართვა კერძო კოლეჯების მიერ ჩატარებულ კონფერენციებში“. აღნიშნული კონფერენცია საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა, შესაბამისად სამოქმედო გეგმის ეს ნაწილი არ შესრულდა.

„საერთაშორისო ორგანიზაციების მოძიება და მათთან კომუნიკაციის დამყარება სტუდენტების გაცვლის ან კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით“ 2024 წლისათვის კოლეჯმა მოიძია პარტნიორი ორგანიზაცია გერმანიიდან - Derca, რომელიც უზრუნველყოფს საექთნო განათლების კურსდამთავრებულების გერმანიაში დასაქმების შესაძლებლობას. კოლეჯი ცდილობს უფრო და უფრო განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით და სამომავლოდ დაისახა, 2025 წლისათვის თანამშრომლობა გააფორმოს ევროპულ ასოციაცია EVTA-European Vocational Training Association-თან.

N	განსახორციელებელი აქტივობები	შესრულებულია/არ შესრულებულა	მტკიცებულებები
1.	აღმზრდელის პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამისათვის კვოტის გაზრდა (ქ. თბილისი/ქ. თელავის განყოფილება)	შესრულებულია	განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარდგენილი შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის რეავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის ფორმა .

2.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	შესრულებულია	კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
3.	პსდ-ში მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესება	შესრულებულია	სასწავლო პროცესზე დასწრების ანგარიშები/ კითხვარების ანალიზი
4.	პსდ-ში შუალედური შეფასების ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება	შესრულებულია	შუალედური შეფასების ოქმები, ანგარიშები, პროფესიული სტუდენტების ნამუშევრები(შუალედური შეფასების შესრულების მტკიცებულებები). კოლეჯის ბრძანება (შუალედური შეფასების განხორციელებასთან დაკავშირებით)
5.	პსდ-ში სკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება	შესრულებულია	საკვალიფიკაციო გამოცდის ოქმები, ანგარიშები, პროფესიული სტუდენტების ნამუშევრები(საკვალიფიკაციო გამოცდის შესრულების მტკიცებულებები), კოლეჯის დირექტორის ბრძანება (საკვალიფიკაციო გამოცდის განხორციელებასთან დაკავშირებით)
6.	პროფესიული მოზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატება (თბილისი, თელავის განყოფილება)	არ შესრულებულა	-
7.	პროფესიული მოზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესება	შესრულებულია	ქ. თელავის განყოფილებაში განხორციელებული ვერიფიკაცია პროფესიული მომზადების პროგრამისთვის-გერიატრიული ასისტენტი(მომზადებული ანგარიში).
8.	პროფესიულ სტანდარტებთან მიმართებით კოლეჯის საგანმკარგულებლო მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა და გაუმჯობესება	შესრულებულია	კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული კოლეჯის საგანმკარგულებლო და მარეგულირებელი დოკუმენტები
9.	შეფასების პროცესის ვერიფიკაცია	შესრულებულია	ქ. თბილისში განხორციელებული პროფესიული საგანმანმანათლებლო პროგრამა-ფარმაცია(სააფთიაქო) ქ. თელავის განყოფილებაში განხორციელებული პროფესიული საგანმანმანათლებლო პროგრამა-საფინანსო სერვისები.

			ქ. თბილისში განხორციელებული პროფესიული საგანმანმანათლებლო პროგრამა-საექთნო განათლება.
10.	პერსონალის შეფასება და განვითარება	შესრულებულია	პერსონალის შეფასების კითხვარები, ანალიზის შედეგები. (ქ. თბილისი, ქ. თელავის განყოფილება)
11.	ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა	შესრულებულია	კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარები, კითხვარების ანალიზი(ქ. თბილისი, ქ. თელავის განყოფილება)
12.	პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შემუშავება/შესაბამისი ტრენინგების ჩატარება	შესრულებულია	1. ტრენინგების ამსახველი ფოტო მასალა განთავსებული კოლეჯის ფეისბუკ გვერდზე- https://www.facebook.com/fanaskerteli.edu.ge; 2. სერთიფიკატები.
13.	პროფესიული პროგრამების განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე, პსდ-ს კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფა	შესრულებულია	პირადი საქმეები. პერსონალის მართვის პოლიტიკა.
14.	პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართვა კერძო კოლეჯების მიერ ჩატარებულ კონფერენციებში	არ შესრულებულა	-
15.	პროფესიული მასწავლებლის კმაყოფილების კვლევა	შესრულებულია	კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარები, კითხვარების ანალიზი(ქ. თბილისი, ქ. თელავის განყოფილება)
16.	პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე , პსდ-ს პროფესიული მასწავლებლების ტრენინგებში ჩართვა, როგორც გარე ორგანიზაციებში, ასევე დაწესებულების ფარგლებში	შესრულებულია	1. ტრენინგების ამსახველი ფოტო მასალა განთავსებული კოლეჯის ფეისბუკ გვერდზე- https://www.facebook.com/fanaskerteli.edu.ge; 2. სერთიფიკატები.
17.	სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული	შესრულებულია	სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურში გაგზავნილი წერილი და მის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა.

	რეკომენდაციების შესრულება და აღნიშნული სამსახურის მიერ დადებითი დასკვნის მიღება		
18.	პსდ-ს საევაკუაციო გეგმის შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან	შესრულებულია	კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული კოლეჯის საევაკუაციო გეგმა.
19.	ტექნიკური აღჭურვილობის განახლება(მრავალფუნქ ციური პრინტერები და სხვა)	შესრულებულია	შეძენილი აღჭურვილობა მატერიალური სახით. შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.(ქ. თბილისი, ქ. თელავის განყოფილება)
20.	პროგრამის დამატების ან ცვლილების შემთხვევაში, სასწავლო რესურსის განახლება	შესრულებულია	განახლებული სასწავლო რესურსი. განახლების/შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ქ. თბილისი, ქ. თელავის განყოფილება)
21.	პერსონალის და პროფესიული მასწავლებლის კმაყოფილების კვლევის ანალიზი	შესრულებულია	ჩატარებული კვლევის ანალიზი.
22.	ინფორმაციის განთავსება კოლეჯის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში	შესრულებულია	კოლეჯის ვებ გვერდზე და ფეიბუკგვერდზე განთავსებული ინფორმაცია: • https://www.facebook.com/fanaskerteli.edu.ge • https://fanaskerteli.edu.ge/ge
23.	კოლეჯის მიერ სხვადასხვა პროფესიული განათლების ღონისძიებებში მონაწილეობის ამსახველი ინფორმაციის განთავსება კოლეჯის ვებ გვერდზე და ფეისბუკგვერდზე	შესრულებულია	კოლეჯის ვებ გვერდზე და ფეიბუკგვერდზე განთავსებული ინფორმაცია: • https://www.facebook.com/fanaskerteli.edu.ge • https://fanaskerteli.edu.ge/ge
24.	ტრენინგების ჩატარება ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში	შესრულებულია	კოლეჯის ვებ გვერდზე და ფეიბუკგვერდზე განთავსებული ინფორმაცია: • https://www.facebook.com/fanaskerteli.edu.ge • https://fanaskerteli.edu.ge/ge
25.	სასწავლო წლის დასაწყისში შეხვედრების მოწყობა სტუდენტებთან , კოლეჯში მიმდინარე სასწავლო პროცესის და მათი უფლება	შესრულებულია	კოლეჯის ვებ გვერდზე და ფეიბუკგვერდზე განთავსებული ინფორმაცია: • https://www.facebook.com/fanaskerteli.edu.ge • https://fanaskerteli.edu.ge/ge

	მოვალეობების გაცნობის მიზნით.		
26.	სხვადასხვა სახის სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზება და წამახალისებელი აქტივობები	შესრულებულია	კოლეჯის ვებ გვერდზე და ფეიბუკგვერდზე განთავსებული ინფორმაცია: • https://www.facebook.com/fanaskerteli.edu.ge • https://fanaskerteli.edu.ge/ge
27.	დამსაქმებლების მოწვევა სტუდენტებთან შესახვედრად	შესრულებულია	კოლეჯის ვებ გვერდზე და ფეიბუკგვერდზე განთავსებული ინფორმაცია: • https://www.facebook.com/fanaskerteli.edu.ge • https://fanaskerteli.edu.ge/ge
28.	პროფესიის შესაბამისი ვაკანსიების მიწოდება სტუდენტებისათვის სხვადასხვა ელექტრონული არხების მეშვეობით(პსდ-ს ვებ გვერდი ან ფეისბუკგვერდი)	შესრულებულია	კოლეჯის ფეიბუკგვერდზე განთავსებული ინფორმაცია(ფოტო მასალა): • https://www.facebook.com/fanaskerteli.edu.ge
29.	კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა და ანალიზი	შესრულებულია	კითხვარის ანალიზი
30.	პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვა	შესრულებულია	კითხვარის ანალიზი
31.	საერთაშორისო ორგანიზაციების მოძიება და მათთან კომუნიკაციის დამყარება სტუდენტების გაცვლის ან კურსდამთავრებულთა დასაქმების კუთხით	შესრულებულია	გერმანულ კომპანია Derca-თან გაფორმებული თანამშრომლობა.